



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 27 ივლისი

**დისციპლინური საქმე №51/21-1  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2021 წლის 13 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 18 მაისის №182/51-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ 2021 წლის 22 იანვრის განჩინებაში მიუთითეს, ფრაზა, რომელიც საჩივრის ავტორის მოსაზრებით წარმოადგენს სასამართლოს მიერ წინასწარ გამჟღავნებულ პოზიციას საქმის განხილვის შედეგთან მიმართებაში, კერძოდ: „...ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სრულიად გაურკვეველია აღნიშნული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველები, ისევე როგორც გაანგარიშება. მაშასადამე, ამ ნაწილში არსებობს მოთხოვნის დასაშვებობაზე მსჯელობის წინაპირობა, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს...“ . საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს ასეთი ქმედება ზიანს აყენებს მხარეთა ნებას მორიგებით დაამთავროს საქმე, რადგან მორიგების ინსტიტუტი ეფუძნება პრეზუმფციას, რომ საქმის შედეგი წინასწარ არავისთვის არ უნდა იყოს ცნობილი.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2019 წლის 14 ნოემბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხე --- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2020 წლის 10 ივნისს მოპასუხის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2020 წლის 26 ივნისს განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხე --- წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2.2. 2020 წლის 14 ივლისს მოსარჩელე მხარემ კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2020 წლის 26 ივნისს განჩინებაზე. --- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 22 იანვრის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; უცვლელად დარჩა 2020 წლის 26 ივნისის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, გარდა რემონტის ხარჯების - -- აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნისა; საქმე რემონტის ხარჯების - -- დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაუბრუნდა იმავე სასამართლოს დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების /განხორციელებული ქმედებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების

განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ სამართლებრივი შესაფება მისცა არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება განსახილველი საქმის შედეგის შინაარსს გამჟღავნებისგან. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ მოსამართლეს ეკრძალება მის წარმოებაში არსებული საქმის შედეგის გამხელა განჩინების გამოცხადებამდე, აღნიშნული არ ეხება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებს, რაშიც მოიაზრება მორიგების მიზნით დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-წ მუხლის მეორე ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე გამოქვეყნებულ განჩინებასთან, რომლის შინაარსიც სრულად მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას, ზედამხედველობის გაწევას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

შეწყდეს -- -- 2021 წლის 13 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**